



ნატო და უსაფრთხოების გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში

ნათია ვერძაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომი შესრულებულია პროექტისთვის

„საქართველოს ახალგაზრდა ქალები ნატოსთვის“

მრავალი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური პროცესები მნიშვნელოვნად აფერხებდა საყოველთაო

თბილისი 2020

მშვიდობისა და ურთიერთნამაშრომლობის დამყარებას. 21-ე საუკუნეშიც კი, როდესაც ყველასთვის მნიშვნელოვანია ადამიანთა უფლებების დაცვა, მაინც უტოპიად რჩება ტოტალური სტაბილურობის მიღწევა ან მისი შენარჩუნება. დღემდე არსებული პრობლემების და კონფლიქტების მიმართ ინდიფერენტულმა დამოკიდებულებამ შესაძლოა გამოიწვიოს მათი ესკალაცია, რომლის ომში გადაზრდა გარდაუვალი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნე ყველაზე გამანადგურებელი პერიოდი იყო კაცობრიობის ისტორიაში, ეს ასევე იყო საუკუნე, როდესაც ჩამოყალიბდა მრავალმხრივი ინსტიტუციები კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და პოსტ-კონფლიქტური სიტუაციების სამართავად. გლობალიზაციამ, რომელმაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა, კიდევ უფრო გაამარტივა უფრო და უფრო მეტი სახელმწიფოს გაერთიანება ერთი მიზნის ირგვლივ - დამყარებულიყო საერთაშორისო მშვიდობა, მაგრამ, რა თქმა უნდა, გლობალიზაციამ არ მოსპო ადგილის, მანძილის, საზღვრების მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკაში. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ისეთი დიდი საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორცაა ნატო. ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია 1949 წელს დაარსდა, რათა გაეწია სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერა ჩრდილო ამერიკისა და ევროპული სახელმწიფოებისთვის. ალიანსის ძირითადი მიზანი იყო შეეკავებინა და, საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ძალით შეეჩერებინა მოწინააღმდეგე, რათა უზრუნველყო წევრი ქვეყნების უსაფრთხოება. ნატოს შექმნა განაპირობა მზარდმა საბჭოურმა ექსპანსიამ, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთლიანად მოიცვა აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა და საფრთხე შეუქმნა დასავლეთის სამყაროს. მრავალწლიანი არსებობის მანძილზე ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა ფუნდამენტური როლი შეასრულა დასავლეთის დემოკრატიული სამყაროს

კოლექტიური თავდაცვისა და მისი უშიშროების უზრუნველყოფაში. „ცივი ომის“ პერიოდში ამ სამხედრო პოლიტიკურმა ორგანიზაციამ შეძლო შეეჩერებინდა ევროპაში საბჭოთა ექსპანსია და დაემყარებინა კონტინენტზე სტრატეგიული ბალანსი. ნატოს, როგორც კრიზის-მენეჯმენტის ორგანიზაციის როლი როგორც რეგიონულ, ისე მსოფლიო დონეზე უთუოდ მნიშვნელოვანია, სამხრეთ კავკასიის რეგიონი კი, ამის ნათელი მაგალითია.

2020 წლის 27 სექტემბერს ყარაბაღში განახლებულმა კონფლიქტმა რადიკალურად შეცვალა რეგიონში უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული წესრიგი. ომის ცნების მოდიფიცირებამ და მასში უკვე ჰიბრიდული ნაწილების ჩართვამ აშკარა უპირატესობა მოაპოვებინა აზერბაიჯანს, ხოლო სომხეთმა სამხედრო ტექნიკის დანაკარგების ჩათვლით უმძიმესი, ორ მილიარდზე მეტი დოლარის ზარალი განიცადა (Koberidze, 2020). „გაყინული“ კონფლიქტის გაგრძელებამ მნიშვნელოვანი საფრთხეები და გამოწვევები წარმოქმნა არა მხოლოდ სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის, არამედ მთლიანი რეგიონისა და მეზობელი ქვეყნებისთვის. რუსეთის „სამშვიდობო მისია“ საქართველოსთვის კიდევ უფრო დამამძიმებელი აღმოჩნდა, ახლა რეგიონში ორივე მხრიდან გვესაზღვრება რუსი მშვიდობისმყოფელები, რაც, რა თქმა უნდა, პირდაპირ კავშირშია პუტინის რუსეთის ძირითად მიზანთან - რეგიონში ტოტალური გავლენის მოპოვება (ბატიაშვილი, 2020).

ამ ყველაფრის ფონზე, საინტერესოა რა გავლენის მოხდენა შეუძლია ჩრდილო ატლანტიკურ ორგანიზაციას სამხრეთ კავკასიაში და რამდენად შესაძლებელია ის გახდეს რეგიონში სტაბილურობის და უსაფრთხოების გარანტი.

სამხრეთ კავკასია ყოველთვის იყო ისტორიულად მნიშვნელოვანი რეგიონი, რომელიც ერთმანეთს აკავშირებდა ცენტრალურ აზიას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რუსეთს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 1991 წლიდან, როდესაც ლეგიტიმურმა მთავრობებმა და საერთაშორისო თუ რეგიონული თანამშრომლობის ქვეყნებმა დაიწყეს ბუნებრივი რესურსების კულტივაცია, სამხრეთ კავკასიას კიდევ უფრო დიდი როლი მიენიჭა საერთაშორისო უსაფრთხოების მხრივ, რაც ენერგო რესურსების ფლობით იყო განპირობებული (Branch, 2018). 2004 წელს, როდესაც ბულგარეთი და რუმინეთი შეუერთდა ნატოს, სამხრეთ კავკასიის რეგიონი მიიჩნეოდა პრიორიტეტად ნატოსა და მთელი ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურისთვის. მიუხედავად ამისა, „გაყინული“ კონფლიქტების მოგვარებაში და კრიზისების დეესკალაციაში ნატოს პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღია, გამომდინარე იქიდან, რომ ის თავისი წევრი ქვეყნების საზღვრებს არ სცდებოდა. აღნიშნული ფაქტი, რუსეთისთვის ბიძგი აღმოჩნდა, რათა თავისი ჩანაფიქრები სისრულეში მოეყვანა. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომმა კიდევ უფრო მეტად გაანმტკიცა მოსაზრებები რუსეთის იმპერიალისტური ზრახვებისა და ექსპანსიონისტური მისწრაფებების შესახებ, რაც, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის მაგალითი უნდა ყოფილიყო, რადგანაც უსაფრთხოების გამოწვევები და ზოგადი სურათი რადიკალურად შეცვალა აღნიშნულმა ფაქტმა. დიპლომატიური ურთიერთობების ნაკლებობა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რუსეთის გაზრდილი ინტერესები და ნატოს არ არსებობა რეგიონში, არის ცენტრალური ელემენტები რეგიონალური სიტუაციის აღსაქმელად - მაშინ როცა ნატოს ლიმიტირებული როლი აქვს მასში, რუსეთი კიდევ უფრო იძლიერებს პოზიციებს, განსაკუთრებით კი სომხეთის მხრიდან (Nasirov, 2017). ამასთან, რუსეთმა შექმნა პრეცედენტი, რომ

ნებისმიერი სტატუსის ცვლილება და ომის დაწყება, მიმდინარეობა და შეწყვეტა სამხრეთ კავკასიურ კონფლიქტებში საბოლოოდ მაინც მასზე გადის. მთელი ომის განმავლობაში რუსეთთან კავშირზე იყო როგორც სომხური ისე აზერბაიჯანული მხარეც. კონფლიქტის ერთ ღამეში შეწყვეტა კი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ როგორც ოფიციალურ ერევანს ისე ბაქოს ექვსივე საბრძოლო კვირის განმავლობაში ოფიციალურ მოსკოვთან ჰქონდათ არამხოლოდ ღია, არედ ფარული კომუნიკაციაცა და მოლაპარაკებები. მოვლენების ასეთი განვითარება კი რუსული პოლიტიკური წონის ზრდაზე მიუთითებს. უსაფრთხოების დეფიციტმა, რომელიც ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან იყო გამოწვეული, რეგიონი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ჩაითრია. ინსტიტუციონალური უსაფრთხოების საჭიროება, რათა იმართოს, შემცირდეს და გადაიჭრას უსაფრთხოების გამოწვევები უფრო მეტად ცხადი გახდა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის მნიშვნელობა რომ გაიზარდა, ამაზე დაინტერესებული მხარეებიც მიგვანიშნებს. რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, ირანი და რაც მთავარია, ნატო. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მათი გამოკვეთილი ინტერესისა, უსაფრთხოების არბიტრად ვერცერთმა ძალამ ვერ ითამაშა. სამართლიანი იქნება, თუკი ვიტყვით, რომ ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის დაგვიანებულმა რეაგირებამ, რუსეთს საშუალება მისცა გაემყარებინა პოზიციები და მიეღწია დომინანტობისთვის, რის შემდგომაც მას ორმაგი ძალისხმევით გაწევა მოუწევს რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებისა და ევრო-ატლანტიკური გავლენის გაზრდისთვის.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ორი უდიდესი გამოწვევა, რომლის წინაშეც ნატო აღმოჩნდა არის რუსეთი და წევრი ქვეყნების განსხვავებული მოსაზრებები. რუსეთის ხისტი რეაქცია რეგიონში ნატოს აქტივობების ზრდაზე განსაკუთრებით შესამჩნევია და მეტიც, ბევრი რუსი აქტორისთვის ნებისმიერი ქმედება წინააღმდეგობაში მოდის მათ პოლიტიკასთან. თუმცა, ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციისთვის დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს პუტინის რუსეთის წინააღმდეგობები რეგიონალური მშვიდობის მიღწევის პროცესში, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მისი გავლენის ზრდა საფრთხეს უქმნის ნატოს - როგორც საერთაშორისო მშვიდობის გარანტის როლს. მეორე გამოწვევას ნატოს წევრი ქვეყნების განსხვავებული მიდგომები წარმოადგენს იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი უნდა ჰქონდეს ნატოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. აშკარაა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ბევრად დადებითი დამოკიდებულება აქვს ორგანიზაციის ჩართულობის მიმართ რეგიონში მიმდინარე პროცესებში, თუმცა ევროპულ სახელმწიფოებს ნაკლებად საჭიროდ მიაჩნიათ ალიანსის მონაწილეობა არაწევრი სახელმწიფოების შიდა პოლიტიკურ საქმეებში. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ შეერთებულ შტატებს მომხრეებიც ეყოლება, განსაკუთრებით კი ახალი წევრი სახელმწიფოები.

მთავარი ასპექტი, რითიც ხდება ნატოს მომავალი ჩართულობის ფორმულირება სამხრეთ კავკასიის რეგიონში არ არის გაწევრიანების/არ გაწევრიანების საკითხი, გამომდინარე იქიდან, რომ ნატოს პროგრამები ისედაც ახერხებდა რეგიონალური მშვიდობის საერთო სურათის შექმნას, რამდენად ეფექტური იყო ის დღევანდელ რეალობაში, რა თქმა უნდა, ცალკე საკითხია. პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ არის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ მყარდებოდა კავშირი წევრ და არა წევრ ქვეყნებს შორის, რაც ზრდიდა უსაფრთხოების გარანტიას

და ახდენდა სამხედრო ძალების ტრანსფორმაციას. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამშვიდობო მისიები, წვრთნები და ტრენინგები, რომელიც ზრდის ახალი თაობის სამხედრო ოფიცრებს, რომელთა აზროვნებაც განსხვავდება საბჭოთა სამხედრო მენტალობისგან.

ნატოსა და სამხრეთ კავკასიის ცალკეული ქვეყნების ურთიერთობა და თანამშრომლობის დონე საკმაოდ განსხვავებულია საქართველო-აზერბაიჯანისა და სომხეთს შემთხვევაში. საქართველო და აზერბაიჯანი უმნიშვნელოვანესი, ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტრიბუტორები არიან სამშვიდობო მისიებში ბალკანეთში, ავღანეთსა და ირანში, რაც ალიანსთან კიდევ უფრო მეტად გვაახლოებს. რაც შეეხება სომხეთს, მიუხედავად იმისა რომ 2002-2003 წლებში ნატოს პროგრამებში ცდილობდა აქტიური მონაწილეობა მიეღო, რუსეთის მხრიდან გაკეთებული განცხადებები მასზე დიდ გავლენას ახდენდა, გამომდინარე იქიდან, რომ ის საკმაოდ დამოკიდებული აღმოჩნდა მასე როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, ამავდროულად, სომხეთი მიიჩნევს, რომ რუსეთი ერთადერთი მნიშვნელოვანი ძალაა თურქული საფრთხისგან თავდასაცავად. სამივე ქვეყნის პრო-დასავლური გზა არის რეგიონალური მშვიდობის ქვაკუთხედი, რადგან ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურისთვის შიდა რეგიონალურ უსაფრთხოებას მოწინავე ადგილი უჭირავს (Cornell, 2016).

სამხრეთ კავკასია როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე ნატოსთვის მნიშვნელოვან საკითხს უნდა წარმოადგენდეს, მით უფრო დღეს როდესაც ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგაც, ვრცელდება ინფორმაცია, რომ თავდასხმები გრძელდება. ეს ყოველივე რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს და

პირდაპირ ურტყამს ჩრდილო-ატლანტიკური გაერთიანების როლს კონფლიქტების მოდერაციის ჭრილში. თუკი შესაბამისი პასუხი არ იქნება გაცემული სამხრეთ კავკასიაში არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებზე, სიტუაცია უკიდურესად დაიძაბება და მსოფლიო პოლიტიკის არენაზე კვლავ რუსეთი გახდება მთავარი მოთამაშე. სწორედ ამიტომ, რეგიონალური უსაფრთხოება, მასში შემავალი სახელმწიფოების აქტიური მხარდაჭერა, თავდაცვის სფეროს მაქსიმალური დახმარება და გაძლიერება უნდა იყოს ნატოს პირველი რიგის ორიენტირი, რათა შესაძლებელი გახდეს სტაბილურობისა და, შესაბამისად, „ძალაუფლების“ შენარჩუნება.

ბიბლიოგრაფია

- Branch, A. (2018). Armenia and the South Caucasus: A New Security Environment. *Connections*, 47-60.
- Cornell, S. (2016). *NATO's Role in South Caucasus Regional Security*. Central Asia-Caucasus Institute.

Koberidze, G. (2020). Nagorno-Karabakh War - Regional and Global Consequences. *Foreign Policy Council*.

Nasirov, E. (2017). The South Caucasus: A Playground Between NATO and Russia? *Connections*, 47-56.

ბატიაშვილი, ზ. (2020). *gfsis.org*. Retrieved from *gfsis.org*: <https://www.gfsis.org/ge/blog/view/1105>